

ქსეიდვენს



1

შეთანხმება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტსა და შპს „რომპეტროლ საქართველოს“ შორის 2016 წლის 23 დეკემბერს დადებულ №323 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში (კონსოლიდირებული ტენდერი CON16000059) ცვლილებებისა და დამატებების შეტანაზე

ვანია 023

ქ. ზუგდიდი

16 ოქტომბერი, 2017 წელი

ერთი მხრივ, **ზუგდიდის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში – შემსყიდველი), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის ლაშა გოგიას სახით და მეორე მხრივ, **შპს „რომპეტროლ საქართველო“** (შემდგომში – მიმწოდებელი), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, გენერალური დირექტორის ზამანბეკ მირზაიანოვის სახით, 2016 წლის 23 დეკემბერს გაფორმებული №323 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში – ხელშეკრულება) მე-8 მუხლის შესაბამისად ვთანხმდებით შემდეგზე:

1. 1176 ლიტრი დიზელის Efix Euro Diesel (არაუმეტეს PPM 10) დამატებასთან დაკავშირებით შეიცვალოს ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პუნქტი 2.2 – ხელშეკრულებით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს საწვავი, რომლის საორიენტაციო მოცულობა შეადგენს 38042 ლიტრს.

2. ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულებას დაემატოს 10180 ლარი და ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პუნქტი 3.1 – წინამდებარე ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს - 63031,70 (სამოცდასამი ათას ოცდათერთმეტი ლარი და 70 თეთრი) ლარს.

3. ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები და დებულებები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც ხელშეკრულების მიმართ.

4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან (ორი ეგზემპლარი შემსყიდველთან, ხოლო ერთი პირი მიმწოდებელთან).

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი
იურიდიული და ფაქტიური მისამართი:
ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90
საინდენტიფიკაციო კოდი: 220416967

შპს „რომპეტროლ საქართველო“
იურიდიული მისამართი:
ქ. თბილისი, გამრეკელის ქ. №19
საინდენტიფიკაციო კოდი: 204493002

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი:
..... /ლ.გოგია/

შპს „რომპეტროლ საქართველოს“ გენერალური დირექტორი:
..... /ზ. მირზაიანოვი/



#	საქონლის დასახელება	საქონლის მირუთავი მახასიათებლები	წარმოშობის ქვეყანა	საორიენტაციო რაოდენობა	ერთეულის ფასი	საორიენტაციო ღირებულება	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადები
	Efix Euro Diesel	არაუმეტეს PPM 10	რუმინეთი	38042 ლიტრი	1.43	63031.70 ლარი	ავტოგასამართი სადგურები თანდართული სიის მიხედვით	01.01.2017 - დან 31.12.2017-მდე

შემსყიდველი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი
 იურიდიული და ფაქტიური მისამართი:
 ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90
 საინდენტიფიკაციო კოდი: 220416967

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
 გამგებელი:

 /ლ.გოგია/

მიწოდებელი

შპს „რომპეტროლ საქართველო“
 იურიდიული მისამართი:
 ქ. თბილისი, გამრეკელის ქ. №19
 საინდენტიფიკაციო კოდი: 204493002

შპს „რომპეტროლ საქართველოს“
 გენერალური დირექტორი:

 /ზ.მირზაიანი/

2

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ზ უ გ დ ი დ ის მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს გ ა მ გ ე მ ო ბ ი ს
ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი უ ლ ი ს ა მ ს ა ხ უ რ ი

N 4218-02
10/10/2017

4218-02-3-201710101600



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელს
ბატონ ლაშა გოგიას

ბატონო ლაშა,

ზუგდიდის მუნიციპალიტეტსა და შპს „რომპეტროლ საქართველოს“ შორის 2016 წლის 23 დეკემბერს გაფორმებულია N323 ხელშეკრულება, 24060 ლიტრი (თანხით 34405,80 ლარი) დიზელის საწვავის შექმნაზე, თანამშრომელთა მიერ სამსახურეობრივი დანიშნულებით გამოყენებული ავტომანქანებისთვის.

2017 წლის 9 თვის მდგომარეობით შესყიდულ იქნა 18470,71 ლიტრი (თანხით 32534,90 ლარი) დიზელი. ხელშეკრულებით, წლის ბოლომდე დიზელის საწვავის დარჩენილი რესურსი შეადგენს 5589,29 ლიტრს. ხოლო დადგენილი ლიმიტისა და არსებული ნაშთის გათვალისწინებით, სავარაუდოდ მოთხოვნილი იქნება 6765,29 ლიტრი, რაც 1176 ლიტრით აღემატება დარჩენილ რესურსს. მეტობა გამოწვეულია სამსახურეობრივი დანიშნულებით გამოყენებული რამდენიმე ბენზინის საწვავზე მომუშავე ავტომანქანის ჩანაცვლებით დიზელის საწვავზე მომუშავე ავტომანქანით.

ამასთან, წლის ბოლომდე დიზელის საწვავის შესაძენად სავარაუდოდ დამატებით საჭიროა 10180 ლარი, რაც გამოწვეულია წლის განმავლობაში დიზელის საწვავზე ფასთა სხვაობით (სახელშეკრულებო ფასი 1 ლიტრზე 1,43 ლარი, ამჟამად 1,78 ლარი). დამატებით თანხის გამოყოფასთან დაკავშირებით საჭიროა, ასევე, ცვლილება შევიდეს შესყიდვების გეგმაში, კონკრეტულად, შემცირდეს:

- 1) 3000 ლარით ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა - გადაყვანის) ხარჯი;
- 2) 4000 ლარით ავტომანქანებისათვის სათადარიგო ნაწილებისა და აქსესუარების შესყიდვის ხარჯი;
- 3) 3000 ლარით გერბის დამზადების ხარჯი;

შესაბამისად, გადიდდეს: 10000 ლარით საწვავ-საპოხი მასალების შესყიდვის ხარჯი.

გთხოვთ, საკითხის განხილვას შესყიდვების გეგმაში და ხელშეკრულებაში სათანადო ცვლილებების შესატანად.

პატივისცემით,

თენგიზ შანავა

სამსახურის უფროსი

ადმინისტრაციული სამსახური